ხელშეკრულება №70/15

ქ. თბილისი *3 ივნისი, 2015წელი*

მუხლი 1. მხარეთა იურიდიული სტატუსი
ერთის მხრივ, სსიპ „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია" (შემდგომში „შემსყიდველი"), მისამართი. ქ. თბილისი, მიცკევიჩის №19, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის ზაალ ჩომახიძის სახით და, მეორეს მხრივ, შპს "თეგეტა მოტორსი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №5 წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი
2.1 ხელშეკრულების საგანია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "თ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისთვის საჭირო საცხებ-საპოხი მასალების შესყიდვა **(CPV 50100000)** გამარტივებული შესყიდვის გზით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ობიექტი და ღირებულება.
3.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველის კუთვნილი ავტომობილებისათვის „Mitsubishi Lancer" (სახელმწიფო ნომრით - BTB-909) და „Mitsubishi Lancer" (სახელმწიფო ნომრით - BTB-989) ტექნიკური მომსახურების გაწევა (ასეთი მომსახურებისათვის საჭირო საცხებ-საპოხი მასალით) დანართი №1-ში მითითებული ჩამონათვალისა და ერთეულის ფასების შესაბამისად.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **667.70** (ექვსას სამოცდაშვიდი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარს.
3.2.1 ერთეულის ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
3.3 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია
4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას მასზედ, რომ მის მიერ მომსახურების გაწევა განხორციელდება შეუფერხებლად, დროულად, ხარისხიანად და შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს.
4.2. „შემსყიდველის" მიერ ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, „მიმწოდებელი" ვალდებულია, გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ხარვეზი.

მუხლი 5. მომსახურების განხორციელების პირობები
5.1 ტექნიკური მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
5.2 მომსახურების გაწევის ადგილია შპს „თეგეტა მოტორსის" ავტორიზირებული სერვის-ცენტრი.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
6.1. მომსახურება „შემსყიდველის" მიერ ჩაბარებულად ითვლება „მიმწოდებლის" მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით. მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა ახლდეს შესაბამისი საგადასახდო დოკუმენტაცია.

მუხლი 7 ანგარიშსწორების პირობები
7.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება, ეროვნულ ვალუტაში.
7.2. მომსახურების ღირებულება ანაზღაურდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესყიდვების,ქონების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი ვასილ მახათაძე.

მუხლი 9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო მხოლოდ ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ფორსმაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წამოშობაზე ხალშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხალშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

12.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი:

ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

გ) ეპიდემიები;

დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

12.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

12.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა) და წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, აღნიშნული გარემოების არსებობისა და ხანგრძლივობის დამადასტურებელი ცნობა.

12.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

12.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა „შემსყიდველის" პირველადი რეგისტრაციის დროს.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.3 წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.5 თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-15 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე მოვალეა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

13.6 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

13.7 მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

13.8 მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

13.9 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.10 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედება

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ იდენტურ ეგზემპლარად. შამი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო მეოთხე - ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

14.3 ამ ხელშეკრულების ცალკეული დებულებების საქართველოს კანონმდებლობასთან წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

მუხლი 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია	**შპს „თეგეტა მოტორსი“**
ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ.№19	მის. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი
ს.ს. "თიბისი ბანკის"	მე-12 კმ.№5. ტელ: 032 2244444
ბანკის კოდი: **TBCBGE22**	ს/ს „თიბისი ბანკი“
ა/ა GE37TB7727134080100001	ბანკის კოდი: **TBCBGE22**
ს/კ 204400200	ა/ა GE80TB0600000024467853
	ს/კ 202177205
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ზაალ ჩომახიძე	გენერალური დირექტორი თემურ კოხოძე

დანართი №1

ფასების ცხრილი

„Mitsubishi Lancer“ (სახელმწიფო ნომრით - BTB-909)

№	დასახელება	საქონლის ერთეულის ფასი (ლარი)	რაოდენობა (ცალი)	სულ ფასი (ლარი)
1	ზეთი ტრანსმის. Febi ATF 27975 IL	26.30	8ლ	210.40
2	ტექნიკური მომსახურება	50.00	1	50.00
			ჯამი:	260.40

„Mitsubishi Lancer“ (სახელმწიფო ნომრით - BTB-989)

№	დასახელება	საქონლის ერთეულის ფასი (ლარი)	რაოდენობა (ცალი)	სულ ფასი (ლარი)
1	ძრავის ზეთი შელი 5W40 Helix Ultra	25.00	4ლ	100.00
2	ძრავის ზეთი შელი 5W40 Helix Ultra	27.70	1ლ	27.70
3	ზეთის ფილტრი Filtron OP575	10.50	1	10.50
4	ჰაერის ფილტრი J.P. FA-531S	25.00	1	25.00
5	ზეთი ტრანსმის. Febi ATF 27975 IL	26.30	7ლ	184.10
6	თექნიკური მომსახურება	60.00	1	60.00
			ჯამი:	407.30

საერთო ღირებულება - 667.70 (ექვსას სამოცდაშვიდი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარი.

შემსყიდველის მხრიდან

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

ზაალ ზიმახიძე

მიმწოდებლის მხრიდან

გენერალური დირექტორი

თემურ კოხოძე